დროება

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 18. კვირა, 24 იანვარი 1910 წ. დამატების № 4

უსამართლოების მსხვერპლი, — სურათი ლინგერისა.

ტენტაქილის სიკვდილი.

პიესა ხუთ მოქმედებად

მორის მეტერლინკისა.

(შემდეგი *)

მოქმედება მესამე.

იგივე ოთახი.

იგრენა და **აგლოვალი**

იგრენა. მე დავათვალიერე გასასვლელები... სამი კარია... ყველაზე უფრო დიდს უნდა გავუფრთხილდეთ... დანარჩენი ორი დაბალი და მკვიდრია, არას დროს არ იღება. მაგათი გასაღები დიდიხანია დაიკარგა. რკინის ურდულები კედლებშია გაყრილი... მიშველეთ, ეს კარი მივხუროთ!.. ეს ქალაქის კარებზედაც უმძიმესია. ისეთი მკვიდრია, რომ ტყვიაც ვერ შეანგრევს... მზათა ხართ?

აგლოვალი. (ზღრუბლებზედ ჩამოჯდება). მე ჩემის დაშნით შემოსავალ კარის საფეხურებზე დავჯდები... პირველად არ ვეღლოდები და ვმხნეობ... არის წუთები, როდესაც ვერ მიმხვდარხარ ყველა იმას, რაც გაგონდება. მე ყოველივე ამას ვაკეთებდი... არ მახსოვს კი როდის... მაგრამ ვერასოდეს ვერა ვბედავდი დაშნის ამოწვდას.... დღეს იგი ჩემთან არის, თუმცა ხელში ძალა არ შემწევს. მაგრამ მაინც მინდა ვსინჯო... იქნება დადგა დროა მტრის მოგერებისა, თუმცა ძალ-დატანებითა ვერაფერს მივახწევთ. (მახლობელ ოთახიდან გამოდის ბელანჟერა, რომელსაც მოჰყავს ხელში აყვანილი ტენტაჟილი).

ჩვენი მგოსნები ვაჟა-ფშაველა და ა. ყაზბეგი.

ბელანჟ. არ ეძინა...

იგრენა. ფერ მკრთალია... რა მოსვლია?

ბელანჟ. არ ვიცი... ჩუმად ტიროდა...

იგრენა. ტენტაჟილ!

ბელანჟ. გვერდზე გაიყურება...

იგრენა. ვერა მცნობს... ტენტაჟილ, რა გემართება? შენი და გელაპარაკება... იქ რას უყურებ? მოიხედე, ნოდი ვითამაშოთ...

ტენტაჟ. არა... არა...

იგრენა. არ გინდა თამაშობა?

ტენტაჟ. დაო იგრენა, მეტი სიარული აღარ შემიძლია...

იგრენა. მეტი სიარული არ შეგიძლიან? არა, არა, რა გემართება გტკივა რამე?

ტენტაჟ. ჰო...

იგრენა. რა, რა გტკივა? მითხარ, ტენტაჟილ: მოგარჩენ...

ტენტაჟ. არ შემიძლიან ვითხრა, დაო იგრენა... ყველაფერი...

იგრენა. აქ მოდი, ტენტაჟილ... ხომ იცი, ნაზი ხელები მაქვს და მათი მიკარების უმალვე გაიკურნები... აქ მოიცი ბელანჟერა. მუხლებზე დავისვამ და ყველაფერი გაუვლის... შეხე, ჰხედავ, ეს რა არის? აქ შენი უფროსი დეები არიან, შენ გვერდით... ჩვენ დაგიფარავთ და არაფერი უბედურება არ მოგეკარება...

ტენტაჟ. დაო იგრენა, აქ ვიღაცაა... დაო, რატომ ცეცხლი არ ანთია?

იგრენა. ანთია, ჩემო პატარა... განა ვერა ჰხედავ ჭერში ჩამოკიდულს ლამპარს?

ტენტაჟ. დიახ, დიახ... ეგ პატარაა, სხვა არა გაქვთ?...

იგრენა. რათ გინდა, გარშემო ყველაფერი სჩანს...

ტენტაჟ. ჰა!...

იგრენა. რა ღრმა გამომეტყველება გაქვს...

ტენტაჟ. აგრეთვე შენც, დაო იგრენა...

იგრენა. დღეს დილით ეგ არ შემინიშნავს... ჯანახე, როგორა სდგებოდნენ... მაგრამ დანამდვილებით ხომ არ იცი, სულს რა მოეჩვენება...

ტენტაჟ. არასოდეს არ მინახავს სული, დაო იგრენა... მაგრამ იქ ზღრუბლზე აგლოვალი რისთვისა ზის?

იგრენა. ისვენებს... დასაძინებლად წასვლამდე შენი კოცნა უნდოდა და შენს გაღვიძებას უცდიდა...

ტენტაჟ. მუხლებზე რა უდევს?

იგრენა. მუხლებზე? იმის მუხლებზედ მე ვერაფერს ვამჩნევ.

ტენტაჟ. არა, არა, რაღაცა უდევს...

აგლოვალი. არაფერია, ჩემო პატარა... ჩემს ძველს დაშნას ვსინჯავდი, რომელსაც ძლივსღა ვსცნობ... დიდხანს მემსახურებოდა იგი, მაგრამ რამდენი ხანია მისი ნდობაც დავკარგე და ვგონებ მალე გატყდება... აქ ხელ-ტარას პატარა წინწკალი ჩნევია... შევნიშნე, რომ ფოლადი ფერს ჰკარგავდა და ჩემთვის ვფიქრობდი... არ ვიცი კი რას, დღეს რაღაცა მაწევს გულზე მძიმე ლოდივით... მაგრამ რას იზავ: იძულებულნი ვართ მოულოდნელის მოლოდინით ვიცხოვროთ... მერე-კი ისე ვიმოქმედოთ, თითქო რიღაცის იმედი გვქონდეს... არის ისეთი მძიმე საღამოები, როდესაც სული გეხუთება ცხოვრების არარაობით და ვინდა თვალები დახუჭო... კარგა დრო გავიდა და მეც დავიღალე...

ტენტაჟ. ის დაჭრილია, დაო იგრენა...

იგრენა. რაში?

ტენტაჟ. შუბლსა და ხელებში...

აგლოვ. ძველი ჭრილობებია, აღარც-კი მაწუხებენ... თითქოს საჭირო იყო, რომ დღეს საღამოთივე დასცემოდა შუქი... აქამდის ვერ ამჩნევდი ამას...

ტენტაჟ. რა ნაღვლიანი შეხედულობა აქვს, დაო იგრენა...

იგრენა. არა, არა ეგ დანაღვლიანებული არ არის, მხოლოდ ძალზე დაიღალა...

*) იხ. სურათებიანი დამატება № 3.

ტენტაჟ. შენც სევდა შემოგწოლია, დაო იგრენა...

იგრენა. არა მეთქი... ჰხედავ ვილიმები...

ტენტაჟ. მეორე დაც აგრეევეა დანაღვლიანებული...

იგრენა. არა, ეგეც ილიმება...

ტენტაჟ. ეგ ღიმილი არ არის, კარგად მესმის...

იგრენა. კარგია, კმარა... ეხლა-კი მომეხვიე და სხვა რამეზე იფიქრე... (ჯოტნის).

მ. ი. დემური ა.
(გარდაიცვალა 21 იანვარს).

ტენტაჟ. რაზე, დაო იგრენა? ტკივილს რათა ვგრძნობ, როდესაც მაგრე მკოცნი?

იგრენა. განა ვტკენ რასმეს?

ტენტაჟ. ჰო... არ ვიცი, რისთვის მესმის შენი გულის ფრიალი, დაო იგრენა...

იგრენა. განა გესმის ჩემი გულის ფრიალი?

ტენტაჟ. ჰო, ისე ფრიალებს, თითქო უნდოდეს...

იგრენა. რა?

ტენტაჟ. არ ვიცი, დაო იგრენა.

იგრენა. უმიზეზოდ არ უნდა შესწუხდე და არც იგავებით ილაპარაკო... რა არის ეს? თვალებზე ცრემლები... აგრე რისთვის აღელდი... მეც მესმის შენის გულის ცემა... ასეა ყოველთვის, როდესაც კაცს ეხვევი, მაშინ ორი გული ერთმანეთს იდუმალად ემუსაიფება იმას, რასაც სიტყვით ვერ წარმოსთქვამ...

ტენტაჟ. ეხლა მე ვერ გავიგე...

იგრენა. ეს იმიტომ რომ... რა გემართება? თითქოს გული გასახეთქად გქონდეს მზად...

ტენტაჟ. (ყვირის) დაო იგრენა!.. დაო იგრენა!

იგრენა. რაო?

ტენტაჟ. ეგ ვიგონე!.. ისინი... ისინი მოდიან...

იგრენა. მერე და ვინა?... რა გემართება?

ტენტაჟ. კარი! კარი! ისინი იქ არიან!.. (გულდადმ. დაეცემა იგრენას მუხლებზედ),

იგრენა. რა ემართება?! გრძნობა დაჰკარგა...

ბელანჟ. ფრთხილად, ფრთხილად... ეხლავე დაეცემა...

აგლოვ. (სწრაფად წამოდგება დაშნით ხელში) მეც მესმის .. თითქო ტალანში მოდიან... ფეხის ხმაურობაა...

იგრენა. ოხ!... (სიჩუმეა ყურს უგდებენ)

აგლოვ. მესმის... მთელი ბრბოა...

იგრენა. ბრბო... როელი ბრბო?

აგლოვ. არ ვიცი... თითქო გესმის, თითქო არც არაფერიაო. ისინი ხომ ისე არ დადიან, როგორც სხვანი. მაინც მოდიან... კარს ხელს ავლებენ..

იგრენა. (ათრთოდებული ტენტაჟილს მკერდზედ მიიკრავს) ტენტაჟილ! ტენტაჟილ!..

ბელანჟ. (ეხვევა იმავე დროს) მეც, მეც! ტენტაჟილ!..

აგლოვ. კარს არყევენ... მოისმინეთ... ჩუმად... ჩურ-ჩულობენ... კარებს აწვებიან... (მოისმის გასაღების ბრიალი).

იგრენა. გასაღები ჰქონიათ...

ბელანჟ. დიახ, დიახ... მე დარწმუნებული ვიყავი... მოიცათ... (შედგება სულ ბოდო სავეხურზე დაშნა შემადგებული. ორივე დას მიმართავს.) მოდით... თქვენც მოდით!.. (სიჩუმე. კარები ტოტათი შემოიდება. ადგზნებულ-გაოცებული აგლოვადი სტდიდობს მახვიდით დასაფრო კარის ხანი. ქარის სიმძიმეს ვერ უძლებს დაშნა და წკრიალით ტუდება, ნამტვრევები წკრიალით ჩამოცვივა კიბეზე, იგრენა წამოხტება. ხელში უჭირავს გულ შეწუხებული ტენტაჟილი, გონს ვერ მოსულა, იგრენა, ბელანჟერა და აგლოვადი, ძალ-დონე მოკრეფილნი, ამაოდ სტდიდობენ კარის შეხურვას, რომელიც ნელ-ნელ იდება, თუმცა შიგნიდან, მეორე მხრიდან არაფერი ისმის და არც არაფერი მოსჩანს. მხოდოდ ცივი სინათლე გამოსჭვივის. ემ დროს ტენტაჟილ უეცრად გასწორდება, გონს მოვა და შეუწუვეტლივ წივის, თითქოს ტანჯვისა და დაჩაგვრისაგან თავისუფლდებოდ. დას მოეხვევა. იგი შეჭეგირებს თუ არა, კარი ადარ გამაგრდება და უცებ მიეხეთქება ამათ მიწოლაზე, ასე რომ თავის შემაგრებასაც ვერ მოასწრებენ).

იგრენა. ტენტაჟილ!.. (გაკვირვებულნი შესტქერიან ერთმანეთს).

აგლოვ. (კარებთან ყურს უგდებს) აღარაფერი მესმის...

იგრენა. (ადტაცებული). ტენტაჟილ, ტენტაჟილ! ჰხედავთ, ჰხედავთ! თავისუფალია, დასხნილია!.. თვალებში ჩახედეთ... რა ცისფერია... აი, ეხლავ დაილაპარაკებს... იმათ დაინახეს, რომ ვდარაჯობდით. ვერ შემოჰბედეს... მოგვეხვიე გესმის... გვაკოცე ყველას, ყველას!.. ისე რომ გულმაც კი იგრძნოს... (ოთხივენი ცრემლ-მორეულნი ერთმანეთს მაგრა ჩაეკვრებიან).

ფარდა.

საქართველოს ახალი ექსარხოსი ინოკენტი.

მოქმედება მეოთხე

ტალანი მესამე მოქმედების ოთახის წინ,.

შემოდის დედოფლის სამი მოსამსახურე პირ მობურვილი.

პირველი მოსამს. (კარებთან ყურს უგდებს). ისინი აღარ სდარაჯობენ...

მეორე მოს. მეტი დაცდა უსარგებლო იქნებოდა...

მეს. მოს. იგი ამჯობინებს, რომ ყოველივე ფარულად მოხდეს...

პირ. მოს. ვიცოდი, რომ უნდა დაწოლილიყვნენ...

მეორე მოს. გააღეთ ჩქარა...

მეს. მოს. უკვე დროა.

პირ. მოს. კარებთან მომიცადეთ... მე მარტო შევალ, საჭირო არ არი სამივეს შესვლა...

მეორე მოს. მართლაც ის ხომ პატარაა...

მეს. მოს. უფროს დას უნდა უფრთხილდეთ...

მეორე მოს. ხომ იცით, დედოფლის სურვილია, დებმა არა იცოდნენ-რა...

პირვ. მოს. ნურაფრისა ნუ გეშინიანთ... ვერ გამიგებენ...

მეორე მოს. შედით... დროა... (პირველი მოსამსახურე კარს ფრთხილად აღებს და შედის ოთახში).

მეს. მოს. აჰ!... (სიჩუმე, პირველი მოსამსახურე გამოდის ოთახიდან).

მეორე მოს. სად არის ის?

პირ. მოს. დების შორის სძინავს, დებთან ჩახუტულს... არ შემიძლიან მარტო მოვიმოქმედო ეს...

მეორე მოს. მე გიშველით...

მეს. მოს. ჰოდა, წადით ერთათ... მე აქ ვიდარაჯებ...

პირ. მოს. ფრთხილად... რაღაცას მიხვედრილან უეჭველია, ცუდს სიზმრებს თუ ჰხედავენ... (ორივე მოსამსახურე ოთახში შევა).

მეს. მოს. იმათ ყოველთვის იციან, მაგრამ ვერ კი მიხვედრილან... (სიჩუმე ორივე მოსამსახურე გამოდის ოთახიდან.) აბა, რა ქენით?...

მეორე მოს. თქვენც წამოგვყევით... მათი განშორება შეუძლებელია...

პირ. მოს. როგორც უნდა განაშოროთ მათი ხელები, მაშინვე ხელახლად მოხვევენ ხოლმე ბავშვს...

მეორე მოს. და ბავშვიც უფრო მაგრა ეკრობა...

პირ. მოს. ბავშვს უფროსის დის გულზედ მისვენებულს სძინავს.

მეორე მოს. და მისი თავი დის მკერდზე ადის და ჩადის...

პირ. მოს. ვერ მოვახერხებთ მისი ხელების განშორებას.

მეორე მოს. მას თავისი ხელები დის თმებისთვის ჩაუვლია...

პირ. მოს. დის ოქროს დალალები თავის პატარა ხელებში ჩაუბლუჯნია...

მეორე მოს. უფროსი დის თმის მოჭრა მოგვიხდება...

პირ. მოს. მეორე დისაც, აი ნახავთ...

მეორე მოს. მაკრატელი თანა გაქვთ?

მეს. მოს. დიახ...

პირ. მოს. ჩქარა მიხედეთ... ისინი უკვე შფოთავენ...

მეს. მოს. მათი გული და წამწამები ერთსა და იმავე დროს თრთიან...

პირ. მოს. მართლა, ვნახე უფროსი დის ცისფერი თვალები.

მეორე მოს. ჩვენ შემოგვხედა, მაგრამ ვერ კი დაგვინახა...

პირ. მოს. როდესაც ერთ იმათაგანს ეხები, დანარჩენი ორნი თრთიან.

მეორე მოს. სცდილობენ, მაგრამ ვერ განძრეულან..,

პირ. მოს. უფროს დას თითქო უნდა დაიყვიროსო. მაგრამ ვერ მოუხერხებია...

მეორე მოს. წამოდით ჩქარა, თითქო გაუფრთხილებიათ.

მეს. მოს. მოხუცი ხომ იქ არ არის?

პირ. მოს. ამას იქ კუთხეში სძინავს.

მეორე მოს. თავის დაშნის ხელ-ტარზე შუბლ-დაყრდნობილს სძინავს.

პირ. მოს. არაფერი არ იცის და არც არაფერი ეს-მრება...

მეს. მოს. წავიდეთ, წავიდეთ, უნდა გავათავოთ თუ არა...

პირ. მოს. გაგიძნელდებათ იმითი ხელების განშორება...

მეორე მოს. მართალია, ისე აქვთ ხელები გადაგრეხილი, როგორც წყალში დამრჩვალ კაცს.

მეს. მოს. წავიდეთ, წავიდეთ... (შედიან ოთახში, სიჩუმეა, რომელიც ირღვევა ამოოხვრით და სიზმარში ამოძახილ ნადვლიან კვნესით, შემდეგ სამი მოსამსახურე ჩქარა გამოდის ბნელ ოთახიდან. ერთს მათგანს ხელით მოჭეავს მძინარე ტენტაჟილი; მას ზედა ჩამოჭფენია ორი დის თავზე ჩამოჭრილი ოქროს ფერი დალალები, რომელიც ტენტაჟილს მაგრად ჩაუბლუჯნია. ისინი ჩუმად მიიმალებიან ტალანის ბოლოს. ტენტაჟილი უცებ გამოიღვიძებს და განწირულის ხმით დაიკივლებს).

ტენტაჟ. (ტალანის სიღრმიდან) ა!... (ხელ-ახლად სიჩუმე. მერე მოისმის მეორე ოთახში როგორ იღვიძებენ და ორივე დები შეძრწუნებულნი წამოხტებიან).

ოსმალეთის ახალი დიდი ვეზირი ხაკკი-ფაშა.

იგრენა. (ოთახში) ტენტაჟილ, სადა ხარ?..

ბელანჟ. ის აქ აღარ არის...

იგრენა. (თანდათან შეწუხებითა და მოუსვენრობით) ტენტაჟილ!.. ლამპარი... ლამპარი... აანთეთ ჩქარა!..

ბელანჟ. კარგი, კარგი...

იგრენა. (დიან კარებში სჩანს, როგორ მოდის ოთახში ლამპარ ანთებული) კარი ყურთამდე ღიაა...

ტენტაჟილის ხმა. (შორიდან ძლივს მოისმის) დაო იგრენა!..

იგრენა. ეს ისა ყვირის... მისი ხმა... ტენტაჟილ!... ტენტაჟილ!.. (ტალანში გავარდება, ბელანჟერას უნდა დაედევნოს, მაგრამ გულ-შეწუხებული ზღურბლზე დაეცემა).

თამარ ნათიშვილი.

ფარდა.

(დასასრული იქნება).

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ს. აბლაძე** ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „სინათლე“, ტფილისი, რუსის ქუჩა. № 3